სამშობლო

პარასკევი

4 მარტი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით [illegible] 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 301 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 301

ტელეფონი № 76.

სამშობლო დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილიათ ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

ქვრივი აგრაფინა ნიკოს ასული კიკაბიძისა, დათიკო და კოტიკო ნიკოს ძენი კიკაბიძეები, ნინო ალექსის ასული მიქაძისა, ნესტორ, კოწია, სოფიკო და კესარია გიორგის ძენი და ასულნი კიკაბიძეები და მაკრინე გიორგის ასული გუგუშვილისა; ოლღა სამსონის ასული კიკაბიძისა, ივანე სიმონის ძე გუგუშვილი, ბენედიქტე, ვანო და ჭეჭიკო ლავრენტის ძენი ლორთქიფანიძეები, ალექსი და სპირიდონ ოტიას ძენი კიკაბიძეები გულითადი მწუხარებით უწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გადაცვალებას, პირველი მეუღლისა, მეორენი ძვირფასი მამისა, მესამე საყვარელი სიძისა, მეოთხენი და მეხუთე დაუვიწყარი ძმისა, მეექვსე—მაზლისა, მეშვიდე ცოლის ძმისა, მერვე მამიდაშვილისა და მეცხრე ბიძაშვილის

ნიკო (იგივე გახვა) გიორგის ძის კიკაბიძისას.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. გამოსვენება მიცვალებულისა გოსპიტლის ქუჩა, ნესტორ კიკაბიძის სახლიდან.

27 პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე 4—2

მეუღლე თ-დ იაგორ სოლომონის ძე ნიჟარაძე, შვილები: სიმონ, რაჟდენ, პელაგია და ელენე ნიჟარაძეები; ორეთა (ქოცია) ჩხეიძისა და ელისაბედ ნემსაძისა; სიძეები: საშა ლევანის ძე ჩხეიძე ძე სიმონ სოლომონის ძე ნემსაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორენი და მესამენი ძვირფასი დედისა, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი სიდედრის

კნეინა ვარდიკო გაჭარ მიქელაძის ასულის ნიჟარაძისას.

გამოსვენება მოხდება კვირას, 6 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ მაღლაკში საკუთარი სახლიდან და დაკრძალვა ამავე სოფლის ზედა მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე.

76 მოსაწვევი ბარათები არ დარიგდება. 2—1

6 მარტს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია.

საზოგადო კრება

ქართულ საქ. საზოგ. ქუთაისის განყოფილების.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოქმედების ანგარიში,
2) განყოფილების მოქმედების ინსტრუქციის განხილვა,
3) არჩევნები.

70 3-1

ექიმი **ა. გ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, 5 ჟარაძის სახლი № 46

14 ტელეფონი № 87 თ.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი,

პარასკევიდან, 4 მარტიდან ახალი პროგრამა.

ანდრია ტობოლცევი.

პირველი სერია. სრული ინსცენიროვკა ვერბიცკის ქალის ცნობილ რომანიდან „Духъ времени“. ხუთ ნაწილად.

შესასვლელი ბილეთების ფასი: **ლოჟა—85** კაპ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. **მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.** თ.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

პარასკევიდან, 4 მარტიდან ახალი პროგრამა.

ნუ შეაწუხებთ კითხვებით

თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ფედოროვის სცენარიით და ცნობილ მსახიობის ი. ი. მოზჟუხინისა და სხვა რუს გამოჩენილ მსახიობთა მონაწილეობით.

შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ. თ.

ქალაქი ქუთაისი წარმოდგენა № 27 **ქალაქის თეატრი**

თბილისის ანსამბლის დრამის მსახიობთა მიერ

პარასკევს, 4 მარტს, 1916 წარმოდგენილი იქნება ნაციონალური პიესა, თანამედროვე ომიდან

პრაპორშჩიკის წინსვლა

ამ პიესის წარმოდგენის უფლება ეკუთვნის ბ. არმატოვს.

მონაწილეობენ: ქ-ნი ე. **ბოიარევიჩა,** პ. ვორალენკო, გ. სტაროიანევსკაია, მ. სანინისა და ბ-ნ გ. არმატოვი, პ. ვმევი, კ. ტანსკი, ნ. პეტროვსკი, ვ. იგორსკი,

1—1 74 რეჟისორი **ქ. ტანსკი** თანაშემწე **ნ. პეტროვსკი.**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

თეატრის კასა ღიაა დილის 10 საათ. ნაშუადღევის 3 საათ. და 5 საათ. საღამოს 8 საათ. მხოლოდ წარმოდგენის დღეს დილის 10 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

13 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

შიო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულებებს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის გამგესთან 11 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

რეპეტიცია დანიშნულია სად. 5 მარტს, ქალაქის თეატრში, 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 10 მარტადან თეატრის კასაში.

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების

ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,

თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ბორცვს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა,

3 ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—1 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა,

1 ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ. 2**

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

ფრიდრიხშტადტის ხაზზე გამოჩნდა გერმანელების ჰაეროპლანები, რომელნიც რუსების არტილერიის სროლისთანავე მიიმალენ. იაკობშტადტთან გაცხოველებული სროლაა. დვინსკისა და ილუქსტის მიმართულებით რუსებმა გაფანტეს გერმანელების რაზმი. მედუმისა და [illegible] ტბებთან, რუსებმა მამაცათ დაუშინეს მტერს. გალიცია სტრიპის გასწვრივ რუსებმა მოწინააღმდეგის ნაწილებს წვრილმანი ბრძოლა გაუმართეს.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალთა დევნის დროს რუსებს ხელთ უგდიათ 20 ტყვე ოფიცერი და 336 ასკერი და ორი სამთო ზარბაზანი.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ოსმალეთის სამხედრო წარმატება.

ოსმალეთის სამხედრო შტაბის ცნობით, დარდანელის რაიონში დიდი საჰაერო ბრძოლა მოხდა, რომელშიაც ოსმალეთის ჯავშნიანმა ჰაეროპლანებმა პირველათ მიიღეს მონაწილეობა. რითი გათავდა შეტაკება, ამაზე შტაბი არაფერს არ ამბობს.

გერმანელთა სიხარული.

გერმანიის სამხედრო შტაბის მიერ გამოცხადებამ, რომ გერმანელებმა ვერდენთან მდებარე სოფელი ვო აიღეს, ბერლინში დიდი სიხარული გამოიწვია. ქუჩები ბაირაღებით შეამკეს და დემონსტრაციები გამართეს. გაზეთები ვერდენის აღებასაც წინასწარმეტყველებენ.

გერმანელები და პოლონელნი.

ვარშავიდან სტოკჰოლმში ცნობას აძლევენ, რომ 1 მარტამდე პოლონეთიდან გერმანელებმა 15,000 ინტელიგენტი გადაასახლეს და სამხედრო ტყვეების ბანაკებში მოათავსეს. გერმანიის მთავრობა პოლონელ სტუდენტების ბინებს ჩხრეკს და რაღაც საიდუმლო საბუთებს ეძებს. ცნობა აქვთ, რომ სტუდენტები საიდუმლო საზოგადოებებს ადგენენ, რომ პოლონეთი გერმანიის წინააღმდეგ აამხედრონ.

გერმანიის სამხედრო ძლიერება და ბედი.

ერთი გერმანული გაზეთის თანამშრომელი გაზეთ „დენის“ გადმოცემით, გერმანიის სამხედრო ძლიერებისა და ბედს შემდეგ ნაირათ აგვიწერს:

„ჩვენ ვიცით, ამბობს გერმანელი ავტორი, რომ წარსული ზამთრის კვირეებსა და თვეებს ტყუილა არ ჩაუვლია. უძლიერესი სიმაგრეები აიგეს იქ, სადაც ეს უფრო საჭირო იყო, ხოლო სხვა ადგილებში მომავალი შეტევისათვის ნიადაგი დაამზადეს. გერმანიის ყაზარმები და სამხედრო საწყობები ისე სავსე არას დროს არ ყოფილა, როგორც ახლაა. ჯარის კაცთა რიცხვიც დღითი-დღე მატულობს ისე, როგორც სამხედრო სურსათი და მასალა. განუწყვეტელი მწყ[illegible] შაბის მწყობრი ხმები ყველას [illegible] გვესმის. ჩვენ ყველა ჩვენს ძლიერებას და უპირატესობას აშკარათ ვგრძნობთ, იმავე დროს ჩვენი მტრების უძლურებასაც აშკარათ ვამჩნევთ. ის კია ნამდვილი, რომ ჩვენც ისევე მოკლებული ვართ სრულ ცნობას, თუ როდის დაჰკრავს გადამწყვეტი საათი და რომელ ფრონტზე დაიწყება საბედისწერო შეტევა, როგორც ეს არ იციან „მოკავშირეებმა“ და [illegible] ჩვენმა მოპირდაპირეებმა. ეს იმიტ

მსოფლიო ომი.

(დღიური).

ბრძოლის ველზე საერთოდ გამარჯვების სასწორი ისევ ერთ წერტილზეა ჩერებული.

კავკასიისა და ოსმალეთ—სპარსეთის ფრონტზე რუსის ჯარი ისევ წინ- ას განაგრძობს:—დევნილ ოსმალთაგან ბევრი დაატყვევეს; ხელში ჩაიგდეს ბმა აგრეთვე მათი ორი სამთო ზარბაზანი; სპარსეთში რუსეთის ჯარი ისპა- ჰანს მიიწევს: ამის გამო გერმანიის აგენტები და აჯანყებული დემოკრატები ჰანს სტოვებენ და ზოგი მათგანი შირაზს მიდის და ზოგიც იეზდასა და ქირ- ში. ყველა ეს ქალაქები სამხრეთ—აღმოსავლეთის სპარსეთში ძევს.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე ჩვეულებრივი დაზვერვა საარტილერიო ბრძოლა გრძელდება; ახალი არაფერი მომხდარა.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე. საერთო მდგომარეობა ლელია: ბელგიაში მეომარნი ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამენ წინ; მხოლოდ მეორეს თავს ესხმიან და ხელით სასროლი ყუმბარებით ან ნაღმებით პოზი- ებს ანგრევენ, მაგრამ წინ მაინც ვერ მიდიან: სანის ძველს ნანგრევებზე დაუ- ლივ ახლებს აგებენ და ამნაირად ერთ ადგილზე არიან გამაგრებულნი. საფრანგეთის ფრონტზედაც საერთოდ საყურადღებო ახალი არა მომხდარა რა: ალაგას ფრანგები საარტილერიო ცეცხლს აძლიერებდენ; ხოლო გერმანე- ებმა თავის მხრით მდ. ენის ჩრდილოეთით იერიში სამჯერ მიიტანეს ფრანგების იციებზე, მაგრამ სამივეჯერ უკუქცეულ იქნენ.

ვერდენთან ბრძოლამ კი განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. გავასის საა- ნტოს გადმოცემით გერმანელებმა აქ სამი დღის შეჩერების შემდეგ გაალმასე- ლი შეტევა გაათკეცებული ენერგიით ისევ დაიწყეს: ჯერ გაიმართა ვერდენის ლოეთით დიდი საჰაერო ომი, რომელშიაც ორივე მხარე დამარცხებული აქნა, ვინაიდან ბრძოლა ორივე მხრით უნაყოფოთ დასრულდა; შემდეგ გერმა- ებმა ვერდენის მთელ ფრონტზე ძალზე არტილერიის ცეცხლი გააძლიერეს და ნიადაგი საკმაოთ დაამზადეს, 5—6 ვერსის მანძილზე გასწვრივ განაკურიდან მორტომის მაღლობამდე თავგამეტებული სწრაფი იერი- თ წავიდენ, მაგრამ ფრანგების არტილერიის განადგურებულ ცეცხლის გამო ლოდ ორ პუნქტში შესძლეს ფრანგთა სანგრების დაკავება, რომელნიც შემდეგ ანგებმა კონტრიერიშით ისევ უკანვე დაიბრუნეს. თუ ამ ცნობებს დავუჯერებთ მანელებს 28 თებერვლიდან 2 მარტამდე წინ არ წამოუწევიათ, თუმცა ისინი ვითარ მსხვერპლს არ ერიდებიან, მაგრამ ის ფაქტი, რომ ისინი ვერდენს მაინც ევიან, გვაფიქრებინებს, რომ საქმეს არც ისე უიმედოთ უყურებენ. გავასის ენტო კი დასკვნის, რომ გამარჯვების სასწორი უკვე ფრანგების მხარეზე ხარა და გერმანელებს ვერდენის აღება არას გზით არ შეუძლიათ.

სხვა ფრონტზე სიწყნარეა. გერმანიამ პორტუგალიას ომი გამოუცხადა, უმცა სამხედრო მოქმედება ჯერ არც ერთი მხრიდან არ დაწყებულა გარდა ისა, რომ მოპირდაპირეთა დესპანებს თავ—თავისი პასპორტი ჩააბარეს და სამ- ლოში გაისტუმრეს.

ჩინეთში რევოლუცია იმარჯვებს: იუანშიკაის მდგომარეობა კრიტიკულია.

ქ. კიროვის აზრი.

სამხედრო მიმომხილველი კიროვი სწერს: „...მე ვფიქრობ, რომ ეს ოპერაცია, რომელიც გერმანელებმა ვერდენთან დაიწყეს, თუმც იგი დიდებულიცაა და მეტად საგულისხმოც, „რომ მთავარ დაკვრათ და სერიოზულ შეტევათ" მაინც არ ჩაითვლება, რომელსაც ყველანი მოველით და რომლის წინაშე ყველანი უნებურათ ცახცახებენ.

თუმცა ის ამბები, რაც ახლა საფრანგეთის ფრონტზე ხდება, სერიოზული და დიდია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მთავარი შეტევა, გადამწყვეტი მოქმედება ჯერ კიდევ წინ გვიწევს.

მოსალოდნელი დიდი ამბები.

მოსკოვიდან იუწყებიან, ერთი ევროპიული გაზეთის ცნობით, გაზაფხულიდან რუსეთ-გერმანიის ფრონტზე „დიდი ამბები" დაიწყებაო.

——

იტალიის ბრძოლის პირზე ჯართა მოძრაობა გაცხოველდა და ბრძოლასაც არა ჩვეულებრივი ინტენსიურობა დაეტყო.

——

გერმანელებმა სტამბოლში ახალი ჯარები გაგზავნეს.

——

ბულგარეთის ოფიციალი ბიულეტენი იუწყება, ოსმალეთის შტაბს კარგათ აქვს გათვალისწინებული ოსმალეთში რუსეთის ჯარის შემოჭრისა და შემოტევის მიზნები; რუსის ჯარის სამხედრო ოპერაციების შემდეგი განვითარება ოსმალეთის შტაბისთვის არც უცაბედი იქნება და არც ანაზდეული და მას სავსებით მომზადებული დახვდებაო.

——

ვენის ქალაქის მართველობამ გადასწყვიტა შეაერთოს მდ. რეინი, მდ. დუნაი და შავი ზღვა განუწყვეტელი მიმოსვლის მოსაგვარებლად.

——

რუსეთის ვაჭრობის სამინისტრო ბითლისისა და არზრუმის სამთა-მადნო კონცესიების გაცემას შეუდგა.

ქრონიკა

რუსეთი.

ხვოსტოვის გარშემო.

დიდი მითქმა-მოთქმაა, ამ ჟამად პეტროგრადის პოლიტიკურ წრეებში ხვოსტოვის ადგილიდან გადაყენების შესახებ. ბევრი ხვოსტოვის ადგილზე კანდიდატსაც ასახელებენ: ასეთ კანდიდატათ მიაჩნიათ თავრიდის გუბერნიის გუბერნატორი კნაჟევიჩი. ხვოსტოვი თავის საქმეების გამო მეფის სოფელში წავიდა, რის გამოც ორშაბათს იგი სათათბიროს სხდომაზე გამოცხადდა. კორესპონდენტებთან საუბარში ხვოსტოვმა განაცხადა, რომ მისი გადაყენების საქმე კვირას გადაწყდება.

შინაგან საქმეთა „სამინისტროს პირველი ნაბიჯი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამათ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავს და არც წინააღმდეგია იმისა, რომ მარტში ქალაქების და ერობის კავშირთა წარმომადგენლების სიეზდები გაიმართოს მოსკოვში.

ახალი აზეფის რჟევსკის „საქმინი საგმირონი".

უმაღლესი მთავრობის დადგენილებით რჟევსკის შემდეგში ნარიმის მხარეში გადაასახლებენ რადგან მას სისხლის სამართლის დანაშაულობაც ბრალდება; აგრეთვე მას იმასაც აბრალებენ, რომ „წითელი ჯვრის" სახელით ვაგონების „რიგი" კერძო პირებისათვის მიუცია. რჟევსკის საქმეები ჯერ კიდევ გამომძიების ხელშია.

რევოლიუციის გამარჯვება ჩინეთში.

15 მარტს ჩინეთის გამარჯვებული ხალხი ნაციონალურ კონგრესს გამართავს, რომელსაც ყოველ კუთხიდან ხალხის წარმომადგენელი დეპუტატები დაესწრებიან.

——

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენელთა სხდომაზე სამარის კომიტეტის მუშათა ჯგუფის დელეგატმა სასტიკი პროტესტი განაცხადა სამხედრო ცენზურის მიერ გაზეთებში ანგარიშების შეკვეცის წინააღმდეგ. მან სთქვა:

,,თქვენ გინდათ საზოგადოებრივი ძალები დარაზმოთ, მაგრამ იმას ველარ ამჩნევთ, რომ თქვენ დაგცინიან, აბუჩად გიგდებენ! ამიტომ თქვენც პროტესტი უნდა განაცხადოთ ამის წინააღმდეგ!'' ორატორის სიტყვებს ტაშის ცემით შეხვდენ. ამის შემდეგ სიეზდის თავჯდომარე, კონოვალოვი კრებას შეეკითხა: ,,ნებავს სიეზდს მოგვანდოს, რომ მივიღოთ ზომები ცენზურულ შევიწროების თავიდან ასაშორებლად?'' კრებამ ამ შეკითხვასაც საერთო ტაშის ცემით მიეგება: სჩანს ზომების მიღება სასურველათ სცნო.

——

პეტროგრადის უნივერსიტეტის საბჭომ საგანგებო თათბირზე ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალებსაც უნდა მიეცეთ უფლება უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესვლისა იმავე პირობებით და საფუძვლით, როგორზედაც მამაკაცთ ღებულობენ.

უცხოეთი.

ჩინეთიდან საყურადღებო ამბები ისმის: იუანშიკაის მდგომარეობა დღე[illegible] რესდება; მდგომარეობა [illegible] რევოლიუცია ყველა პუნქტებში იმარჯვებს. მეამბოხეებმა სიკიანგ პროვინციაც დაიკავეს, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით მიუვალ ციხე-სიმაგრეთ შეიძლება ჩაითვალოს.

——

ბარსელონაში მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს იმ მიზნით, რომ ასეთსავე გაფიცვას მხარი დაუჭირონ და გაამაგრონ, რომელიც წინათ ვალენსიაში გაფიცულებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა; ჯარებიც მზათ ყავთ, თუ ვინიცობაა მოძრაობამ აჯანყების ხასიათი მიიღო, აქედანვე ეტყობა კი, რომ ამ გაფიცვას პირდაპირ რევოლიუციონური ხასიათი აქვს.

ქართული პრესა.

„თანამედროვე აზრი" ეხება რა ფედერალისტთა და ნაციონალ-დემოკრატების შორის ატეხილ კამათს, შემდეგს სწერს:

„ფედერალისტთა პარტია ბურჟუაზიისათვის ზედმეტი ბარგი გამოდგა და ისიც თავიდან ჩამოიშორეს. მისი ადგილი გაზეთ „საქართველო"-ს ჯგუფმა დაიკავა, რომელიც ნაციონალ-დემოკრატების ორგანოთ ითვლება.

. . . .

ნაციონალ-დემოკრატებმა საბოლოოთ დაგმეს ფედერალისტთა სოციალისტური რეკლამა და ქვეყანას ნამდვილი სახით ევლინებიან. რა გასაკვირალია, ფედერალისტთა დაუძლურებული და არეულ-დარეული რაზმის მეთაურები ნაციონალ-დემოკრატთა ასპარეზზე გამოსვლის მიფუჩეჩებას ლამობენ. „სახალხოელნი" და მათი თანამოძმენი ბურჟუაზიულ პარტიას „აპოლიტიკურობას" სწამებენ და „ეროვნული პოლიტიკის" უარყოფას უკიჟინებენ.

მერე მართალია ეს? რანაირია არსებული პარტიების სამოქმედო გზა?

სოციალდემოკრატია მუშათა კლასის განთავისუფლებას ეტრფის. საფაბრიკო კანონმდებლობა და მუშათა დაზღვევა, პოლიტიკური თავისუფლების მოპოება და აგრარული საკითხის გადაჭრა, ეროვნული თავისუფლების დამყარება და ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება—ყველა ეს გზა და ხიდია საბოლოო მიზნის მისაღწევათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ. ამიტომაც არის სოციალდემოკ-

! ჩვენს სარდლებს ჩვეულება არა თ, სამხედრო გეგმა სამაზრო მოედა- ზე გამოფინონ და იქ ყველას გასაგონ დ მასზე ხმა მაღლა იყვირონ. მაგრამ დავათ ამისა, ყველა ჩვენგანი ღრმა- დარწმუნებული, რომ გერმანია ყვე- ლვარით მზათაა და რაც დრო გადის უფრო ემზადება.

რთიანი სამხედრო გეგმის დაცვა, სი- ძლავრით ძალთა განაწილება და მომენ- ის შესაფერი დროისა და ადგილის რჩეული არჩევა შეტევისათვის', ყველა ის ეს საშუალებას გვაძლევს მომავალშიაც ისევე გავიმარჯვოთ, როგორც დღემდე ვიმარჯვებდით. ამიტომ, დაასკვნის ავტორი, ჩვენი საქმეა დღეს გავჩუმდეთ, ვიწამოთ და ველოდოთ''!

——

„ობსერვერი" იტყობინება სალონიკზე გალაშქრება შეჩერებულია ბულგარეთის მეოხებით, რომელიც თხოულობს წინასწარ გარანტიას, რომ ქალაქი სალონიკი მის მფლობელობის ფარგალში მოჰყვება. ხოლო გერმანეთმა-კი ამ ქალაქის ხელუხლებლობა ჯერ კიდევ ადრე აღუთქვა საბერძნეთს.

კიდევ

ქართული წერის შესახებ.

(ბ. მიხა სვირელის წერილის გამო.)

მოცდილებამ დამარწმუნა, რომ იმ ით წერის სწავლება, როგორც ეს მდი ხდებოდა, არ ვარგა. საჭიროა დრო- შევიგნოთ ეს ყველა მასწავლებლებმა წერის სწავლების დროს შესაფერ ხერ- ს მივმართოთ. ასე უყურადღებოთ ნუ ტოვებთ ამ საგანს! ეს უნდა გვაინ- ტერესებდეს არა მარტო სახალხო მასწავ- ლებლებს—ყველას, საშუალო და უმაღ- ლესი სასწავლებლების მასწავლებლებსაც, რადგანაც ამ საგანთან ყველას გვაქვს მე. ამ საგანზე ყველამ უნდა ამოიღოს უმეტესი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების პირველ დაწყებით შკო- ში. ჩვეულება, მიჩვევა ბევრ რასმე ვს. თუ პირველ განყოფილებაშივე ვაქციეთ ყურადღება წერას, თუ ლი განყოფილების მოწაფეები შე- ენ ცუდათ წერას, უფროს განყოფი- აში ხელის გასწორება მეტათ გაუჭირ- ათ.

ოების გადაბმასაც პირველი განყო- ებიდანვე უნდა შეეჩვიონ ბავშვები. და ველია პირველ განყოფილებაშივე ყებით გადაბმით წერა ბავშვებს... ხაზიან რვეულზე. ვიცი, ბევრს ეს შე- ლებლათ მოეჩვენება, არც მე მეგონა ეს მოხერხდებოდა, მაგრამ გამოცდი- ამ სულ სხვა დამანახვა. ჯერ მოახერ- ნო, მეტყვით. დამიჯერეთ, შესძლე- . მხოლოთ საჭიროა ვიცოდეთ წერის ავლების საუკეთესო ხერხები.

პირველი განყოფილებისათვის ბადიანი ული ვერ ვიშოვნე და ვიფიქრე, მოდი , შეიძლება ცალხაზიან რვეულზე ონ წერა მეთქი. დავურიგე ბავშვებს ის ნახევები, დავუწერე დაფაზე სიტყვები, ავუხსენი „ჩემებურათ", თუ როგორ უნდა ეწერათ და გამიკვირდა! თითქმის ყველამ კარგათ დასწერა. ისე კარგათ, რომ ჩემმა ამხანაგებმა არც კი დაიჯერეს, თუ პირველი განყოფილების ნაწერი იყო, სანამ მოწაფეს არ ჰკითხეს. გადაბმის დროს მთელ სიტყვას ხელუწყვეტლათ სწერდენ. ასოები გამოუვიდათ ლამაზი და სწორი. ვაწერიე სიტყვა „ცეტი"-ც, რომლის შესახებ „სამშობლოს" მე 278 №-ში ბ. მიხა სვირელი ამბობს „ამ სიტყვის შემადგენელი ასოები არ გადიბმება გარდა „ტი"-სა, აქ რაც უნდა ვეცადოთ, ასოების სახე უცვლელი არ დარჩება"-ო. ეს სიტყვა თუმცა მართლა ძნელი დასაწერია, მაგრამ ბავშვებმა (წარმოიდგინეთ, პირველი განყოფილების მოწაფეებმა) კარგათ დაწერეს; ასოების სახე სრულებით არ არის შეცვლილი და ყველას შეუძლია ადვილათ წაიკითხოს. ბ. მიხა! ნუ გაგიკვირდებათ ეს! მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც ბევრს გონია—არ გადიბმისო, შეიძლია გადავაბმევინოთ ბავშვებს; თქვენც და ყველას შეუძლია ასწავლოს ასე, მხოლოთ საჭიროა ვიცოდეთ ჯერ თვითონ და შესაფერ ხერხებსაც მივმართოთ. ნიმუშათ ორი ბავშვის ნაწერს „სამშობლოს'' რედაქციას ვუგზავნი. თუ შეხვდებათ ჩასვლა ქუთაისში, რედაქცია არ დაიზარებს, რადგანაც, როგორც ვხედავ, დაინტერესებულია ამ საგნით, და გაჩვენებთ. თუ ვინმე არ დაიჯერებს-პირველი განყოფილების მოწაფეები ვერ დასწერდენ ცალხაზიანზე, ან თუ დაწერდენ, ლამაზი და სწორი ნაწერი არ იქნებაო,—შეიძლია, თუ რედაქცია არ დაიზარებს, ყველა ბავშვების ნაწერი გავუგზავნო ,,სამშობლოს''. ამ ნიმუშებიდან დაინახავს ბ. ,,მიხა სვირელი'', რომ მის მიერ ,,სამშობლოს'' ხსენებულ ნომერში გამოთქმული აზრი—ასოების შიგნიდან გადაბმა ხელს შეუშლის სწორ წერასო (прямое письмо) ცუდ და უსაფუძვლოა. მეც მინახავს სწორი წერის გემოვნება, შიგნიდან გადაბმის, გარედან გადაბმისაც; მეც მომხრე ვარ სწორი წერის და ყველას დავარწმუნებ, რომ: შიგნიდან გადაბმით ასოების სახე უფრო უცვლელი რჩება, ვიდრე მაშინ, როცა გარედან ვაბამთ; არ გადაიბმის შიგნიდან—ვიმეორებ (იხ. ჩემი წერილი ამ საგანზე ,,სამშობლოს'' 268 ნომ.)—მხოლოდ ერთი ასო ,,ე'', რადგანაც შიგნიდან გადაბმული ეს ასო ,,გ''-ს გავს; შიგნიდან გადაბმისას შემაერთებელი ხაზი ჯერ მარჯვნივ რომ უხვევს და შემდეგ მარცხნივ უნდა გადმოიხაროს, სრულებით არ უშლის ეს ხელს არც წერის სიადვილეს, არც სწორ წერას, თუ კი ავუხსნით, როგორც რიგია. ჩემი I განყოფილების მიერ ცალხაზიანზე ნაწერის ნიმუშებიც მოწმობენ ამას. თუ ვისმეს დააინტერესებს რა ხერხები ვიხმარე სწავლების დროს, შეიძლია ამ საგანს დაწვრილებით შევეხო ან და შევადგინო ,,წერის სწავლების სახელმძღვანელოც'' (,,დედანი'' შედგენილი მაქვს და ვფიქრობ მალე გამოიცემა.), რაც დღემდი არ მოიპოვება ქართულ ენაზე. ამას მიტომ კი არ ვამბობ თავი მომწონდეს; არც მინდა—ვაქო ჩემ-მიერ შედგენილი ,,დედანი''. არა! ამისი გარჩევა სხვებისთვის მიმინდვია. მე მხოლოთ მაინტერესებს ეს საგანი და მსურს ჩემი აზრი გამოვსთქვა, ვცადო—იქნება რამე გამოვიდეს. ჩვენი სახალხო სკოლები ღვთის ანაბარათ, უპატრონოთ არის მიტოვებული და ჩემი აზრით ფრიად საჭიროა სხვა და სხვა საგნების კარგი სახელმძღვანელოების შედგენა და მიწოდება.

ბ. მიხა სვირელი რომ ამბობს—შიგნიდან თუ გადავაბმევინეთ ასოები, რაც უნდა ვეცადოთ ბავშვებს სწორ წერას ვერ მივაჩვევთ, რადგან საბამი ამისა თვითონ წერაშიაო, ვინც ჩემ მოწაფეთა ნაწერს ნახავს მიხვდება, რომ ტყუილია! აქ არაფერი საბამი არ არის. ყველას თავისი მოსწონს და ასეა ბ. მიხაც. მან არ იცის როგორ ვაბამ ასოებს. რაც არ უცდია, იმის შესახებ გაიძახის შეუძლებელიაო. არა, ბ. მიხა! კიდევ ვიმეორებ, შეუძლებელი აქ არაფერი არ არის. მე ეს მიცდია: ჯერ მეხუთე და მეექვსე განყოფილების ბავშვებთან, რომლებიც სულ „სხვანაირად" შეჩვეოდენ წერას, შემდეგ მეოთხე და მესამე განყოფილებასთან; ახლა კი პირველი განყოფილების მოწაფეებთან პირველ ორ შემთხვევაში, რაკი ბავშვებს თავისებურათ ქონდათ შესწავლილი წერა, სასურველ მიზანს ვერ მივაღწიე, თუმცა, როცა, თავს ვადექი წერის დროს „ჩემებურათ" გამოჰყავდათ და აბამდენ. ასოები გამოსდიოდათ ლამაზი, ნაწერი იყო სწორი; მაგრამ თუ თვალს მოვაშორებდი, შეჩვევის ძალით ინსტიკტურად სწერდენ ისე, როგორც შეჩვეული ქონდათ ხელი. უკანასკნელ შემთხვევაში კი სავსებით მივაღწიე მიზანს და ეს, როგორც მკითხველიც მიხვდება, იმიტომ, რომ ბავშვებს „წამხდარი" არ ქონდათ ხელი; პირველი მე ვარ ამათ რომ წერას ვასწავლი, თანაც პირველი ასოდანვე დიდ ყურადღებას ვაქცევდი წერას, წერის დროს თვალყურს ვადევნებდი ბავშვებს, ათასნაირად ვუხსნიდი და მანამდი არ ვეხსნებოდი, სანამ კარგათ, სწორედ არ დაწერდენ.

ბ. მიხა! რომ ამბობ შიგნიდან თუ გადავაბამთ „უ" ასო „უ" თავის სახეს კარგავს; გარედან გადაბმულ ნაწერში, როცა „უ"-ს შემდეგ „ა" არ არის, „უ" თავის სახეს არ კარგავსო, ტყუილია. შეჩვეული ყოფილხართ გარედან გადაბმას და მიტომ გეჩვენებათ ასე. ან კარგათ არ ჩაკვირვებიხართ შიგნიდან და გარედან გადაბმულს; ან, შეიძლება, კარგათ ვერ დაწერეთ შიგნიდან გადაბმით, თვარა სულ უსწავლელს, წერა-კითხვა რომ არ იცოდეს, თუ გინდა ისეთს, რომ შეეკითხოთ, ისიც კი გეტყვით, რომ ნაბეჭდ ასოს შიგნიდან გადაბმული უფრო გავს. აბა კიდევ დასწერეთ შიგნიდან და გარედან გადაბმის რომელიმე სიტყვა, შეადარეთ ერთმანეთს და ნაბეჭდს. ნაბეჭდი ხაზქვედა ასოების ტანი შიგნი იხრება. როცა შიგნიდან ვაბამთ, ასოს შიგნი წამოსული ტანი კი არ წყდება, ქვედადის მარჯვნივ, უხვევს ცოტა მარცხნივ (როცა ხაზზე ასოს ებმის) და უერთდება შემდეგ ასოს. გარედან გადაბმის დროს კი ასოს ტანი ზევიდან მოდის სწორა, ჩადის სასურველ სიგრძეზე, უხვევს მარჯვნივ და აღარ იხრება მარცხნივ და შიგნი, როგორც ეს ნაბეჭდ ასოს აქვს. ნუ თუ აქ გაუგებარი კიდევ არის რამე?! და ასოების შიგნიდან გადაბმას არავითარი „შესამჩნევი ნაკლი" არა აქვს. არ ვეთანხმები ბ. მიხა სვირელს: ასოები გადავაბათ ხან შიგნიდან, ხან გარედან იმისდა მიხედვით, თუ რომელი ასო იქნება ზედ მიყოლილიო. ამით სულ აერევათ ბავშვებს. აბა როგორ დაიმახსოვრონ?! არც „უმეტეს შემთხვევაში ასოების გარედან გადაბმა აჯობებს".

ვეთანხმები ბ. მიხა სვირელს—რომ სასურველია ეს საკითხი წამოყენებული იქნებოდეს „მასწავლებელთა კავშირის" მომავალ კრებაზე. წერის სწავლება (ქართულისაც და რუსულისაც) უბრალო საკითხი ნურავის ეგონება, დროა უარვყოთ ძველი, დამპალი აზრი და მეთოდები ამის შესახებ, უფრო დავუახლოვდეთ საგანს, ავწონ-დავწონოთ ყოველი ჩემ მიერ და სხვათაგანაც ამის შესახებ გამოთქმული აზრი და სასურველ ნიადაგზე დავაყენოთ წერის სწავლების საქმე!..

გერასიმე.

რატიის პოლიტიკა ეკედასათვის ამჯარა და გარკვეული.

ნაციონალ დემოკრატიის მიზანია ქართველი ბურჟუაზიის მოღონიერება. ეს შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობის ხელის შეწყობით, ფაბრიკა-ქარხნების გახსნით, ბანკების დაარსებით, მოკლეთ, „მოსკმე" ბურჟუაზიის ამოძრავებით. ვაჭარ მრეწველთა გამდიდრება—აი ახალი პარტიის მთავარი საზრუნავი საგანი. ამ თვალსაზრისს უნდა დაემორჩილოს ახალი დასის სავაჭრო სადამოქნო პოლიტიკა და აგრარული ურთიერთობის მოწესრიგება, ეროვნული საკითხის გადაჭრა და ადგილობრივი თვითმართველობის ძირითად დებულებათა აღნუსხვა. კერძოთ ეროვნულ საკითხს ჩამოეცლება ის რომანტიული სამოსელი, რომელშიაც ფედერალისტებმა გახვიეს და მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედათ გამოაცხადეს.

. . . .

საზოგადოებრივი ძალა ორია—დემოკრატია და ბურჟუაზია. პირველის გავლენა მისი შეგნება-შეკავშირებით განისაზღვრება, ხოლო მეორის ძალას კაპიტალი შეადგენს. რა იქნებოდა სომხის ნაციონალიზმი, რომ მას ზურგს არ უმაგრებდენ მანთაშევები და გუკასოვები, ადელხანოვები და მილოვები?

და, აი, ეს საანბანო ჭეშმარიტება დღეს „საქართველოს" ჯგუფმა შეიგნო და მიზნათ დაისახა ბურჟუაზიის დარაზმვა. ამით ნაციონალისტური ინტელიგენცია „მოსკმე" ბურჟუაზიას დაუკავშირდა და მისი სამსახური იკისრა. ამ გზით ადრე თუ გვიან ნიადაგი გამოეცლება პატრიოტულ რომანტიზმს, რომელიც ჩვენს ნაციონალისტურ ინტელიგენციას ახასიათებს. ნ. ნიკოლაძეები და პ. გოთუები, დადიანების და ჯაყელების, ძეგველოვებისა და სესიაშვილების ინტერესებს დაემორჩილებიან და საზოგადოებას ქართველი ბურჟუაზიის აღმასრულებელ კომიტეტათ მოევლინებიან.

ასეთია აუცილებელი შედეგი ბურჟუაზიის დარაზმვის, იმისდა მიუხედავათ, თუ რას ფიქრობენ გაზეთ „საქართველოს" მწერლები. ეს პოლიტიკური ბრძოლის განვითარება და არა მისი უარყოფა იქნება, როგორც „სახალხოელნი" არწმუნებიან.

პატრიოტული რომანტიზმი კვდება. ფედერალისტთა პარტიას მთავარი ბურჯი გამოეცალა და ადგილი ნაციონალ-დემოკრატიულ დასს დაუთმო. ამით ქართველი ხალხი მხოლოდ მოიგებს, ვინაიდან პოლიტიკური შეხლა-შემოხლა უფრო გარკვეულ ხასიათს მიიღებს.

ირაზმება დემოკრატიის მოწინააღმდეგე კლასი. მარა ბურჟუაზიის ამოძრავება კლასთა ბრძოლის გამწვავების ნიადაგი, ხოლო ეს დემოკრატიის განთავისუფლებას ხელს უწყობს. ქართველი ბურჟუაზია თავის აღსასრულს იახლოვებს.

არ ვეთანხმებით და უარვყოფთ რა დასკვნას „თანამედროვე აზრისას" იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ქონებრივად გაღონიერება და გათვითცნობიერება ვითომც ვისიმე სამტრო იყოს, უარს ვყოფთ რა აგრეთვე იმასაც, რომ ვითომც ნ. ნიკოლაძეები და მისი მსგავსნი „ძეგველოვებისა და სესიაშვილების ინტერესებს ემორჩილებოდენ", გადაჭრით აღვიარებთ, რომ დღევანდელ პირობებში მარტო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას შეუძლია შექმნას ჩვენში ნამდვილი **საქმიანობა** და ბოლო მოუღოს იმ მართლადაც ავანტიურას, რომელსაც **ხალხის** სახელით ეწეოდენ და ეწევიან ისინი, ვისაც ნაკლებად ესმისთ, ან არ უნდათ შეიგნონ ჩვენი ხალხის, ჩვენი ერის ისტორიული გზა, მისი არსებობის პირობანი და მისი სამართლიანი სურვილი,—სურვილი სიცოცხლისა და დღეგრძელობისა.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დაბა ხაშურში მომხდარ ინციდენტის გამო, ხაშურის კომენდანტი გონჩაროვი სხვაგან, უფრო დაბალ ადგილზე გადაიყვანეს.

◆ პ. დ. ს. გადმოცემით, სამხედრო სამინისტრომ განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ის ახლად გაწვეულები (რატნიკები), რომელნიც ავად გახდებიან დასასვენებლად უნდა გაუშვან სამხედრო მთავრობამ არა მეტს სამი თვის ვადით.

◆ სამშაბათს, 2 მარტი, პ. მოსიძის თავჯდომარეობით მოხდა საბჭოს არ ჩვეულებრივი კრება. კრებას უნდა გაერჩია ქალაქის სასულიერო ორგანიზაციის საკითხი, მაგრამ საკითხის გარჩევა სხვა დროისათვის გადასდვეს წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრებამ გაარჩია მხოლოდ რამდენიმე საკითხი განიხილა და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: მიეცს ჩვენს დამსახურებულ მსახიობ ქალს ელისაბედ ჩერქეზიშვილს ხუთი თუმანი საჩუქრათ, ბ) მიიღონ მონაწილეობა მგოსან შიო მღვიმელის 30 წლის დღესასწაულზე 13 მარტს ქართულ თეატრში, და საჩუქრათ მიართვან ხუთი თუმანი. გ). მიემხრონ ქ. მოსკოვის ლეინის ბიუროს შუამდგომლობას მხოლოდ იმ შესწორებით, რომ არ იხმარებოდეს მაგარი სასმელები. დ). ადგილობრივ საკათედრო ტაძრის მნათეს ადგილზე წამოყენებული ბ-ნი მირაქოვის კანდიდატურა უარყვეს. ე). მიეცეს ტყის მცველად ნამყოფს ხიმშიაშვილს 20 მან. ერთდროულ სუბსიდიათ. კრება დასრულდა ღამის 11 საათზე.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა დაიკმაყოფილა ფოთის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა, რომ ქალაქს თავის თავისუფალ ადგილზე გამოიწვიონ სპარსეთიდან ხმოსნი თ-დი იური მელ. ფალ-ვა.

◆ ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს გამგე უფროსი ექიმი სთხოვს ქუთაისის თვითმართველობას საჩქაროთ შეატყობინოს თუ რა ნიხრი არსებობს ამ ჟამად პირველისა და მეორე ხარისხის პურზე.

◆ 7 მარტს თბილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა ინჟინერ მიხაილოვსკისა და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის ცნობილი დავა ამის საქმის დასაცავად ამ დღეებში გაემგზავრება ქალაქის ვექილი იასონ ნიჟარაძე.

◆ ამას წინათ ქუთაისის ქალაქის გამგეობა შეეკითხა ფოთის ფქვილის საწყობის პატრონს პარამანოვს თუ რა ფასებში იყიდებოდა ამ ჟამად პურის ფქვილი. ამის შესახებ ქალაქის გამგეობამ პარამანოვისაგან დეპეშით შემდეგი პასუხი მიიღო: № 4. ფქვილი ტომარი ღირება 15 მან. და ერთი შაური, № 5. 14 მან. და ოთხი აბაზი, № 6. 14 მან. და ექვსი შაური. № 7. 13 მანეთი და ერთი შაური.

◆ სამშაბათს, 2 მარტს, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში დანიშნული იყო ქუთაისის ვაჭართა კრება რომელზედაც უნდა ამოერჩიათ თავისი წარმომადგენელი ქუთაისის ახალი თეატრის ამშენებელ ბიუროში მონაწილეობის მისაღებათ, მაგრამ საკმაო ვაჭართა რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. კრება მომავალ სამშაბათისათვის გადაიდვა.

◆ ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობათა მყიდველი ბიუროს მდივანი ბ-ნი პოლიკარპე ნიშნიანიძე უკვე დაბრუნდა თბილისიდან. როგორც გადმოგვცა, მას უკვე უყიდია ფრიდონოვისაგან და გამოუგზავნია ქუთაისში ორი ვაგონი 1500 ფუთი შაბიამანი. შაბიამანი დანარჩენი პარტიის მიღებამდის შენახული იქნება ქუთაისში და შემდეგ კი გადაეცემა ქუთაისის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრების საკრედიტო და შემნახველ-გამს. ამხ. გამგეობებს წევრებისათვის დასარიგებლათ.

◆ საკრედიტო ამხ. მყიდველი ბიურო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის ამიერიდან არ ღებულობს შაბიამნის ფას, რადგანაც რაც შეკვეთილი ჰქონდა მას ამხანაგობებისაგან მხოლოდ მისი თავდარიგი დაიჭირა და ვინც ამ ბოლო დროს წარმოადგინა ფულები, სთხოვს უკანვე მიიღოს.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი. „**ქართული მართლწერა**" სერგო გორგაძისა. გამოცემა თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი—40 კ. ეს ის მოხსენება არის, რომელიც სხვათა შორის ავტორმა ქუთაისშიაც წაიკითხა.

— 29 თებერვალს ბაზრის ზედამხედველმა პლატონ კორძაიამ ოქმი შეუდგინა მეფურნე ხუსეინ-ხინგის ოღლის პურის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის.

სოფლად.

ს. უვირიში (ლეჩხუმის მაზრა). მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება მისცენ, დაარსონ მომხმარებელთა საზოგადოება „ვანძი".

— ს. ლარჩვის (შორაპ. მაზრა) მცხოვრებლებმა, ნოლტარიამ, სპ. სერიამ, პავ. ლეტარიამ, მაგ. რუხაძემ და სხვებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნან სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

კვირას, 28 თებერვალს სოფელ ქვიტირში (ქუთ. მ.), საზოგადო ყრილობამ დაადგინა გაიხსნას ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი.

— მთავრობამ დაამტკიცა ს. ხრესილში (ოკრიბა) წვრილი კრედიტის ამხანაგობა. საზოგადო კრება ამ დღეებში მოხდება გამგეობისა და ბანკის ზედამხედველ კომიტეტის ასარჩევათ.

მოწერილი ამბავი.

ორი თვის წინად ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში მოიყვანეს სამხედრო ტყვე ოსმალოები. ტყვეთა უმრავლესობა სამუშავოსთვის ვერ გამოდგა. მათში გადამდები სენი—ტიფი გაჩნდა და რამდენიმე კაცი დაიხოცა.

2 თებერვალს მოვიდნენ ქუთაისიდან ექიმები ბ.ბ. შენგელია და აშანცი; 70 ტყვე ოსმალო მძიმე ავადმყოფები ტიფით საბარგო მატარებლით ქუთაისის სამხედრო ლაზარეთში გაგზავნეს. შემდეგ ეს ვაგონები, თანახმათ რკინის გზის უფროსების განკარგულებისა, დაპლომბილი უნდა გაიგზავნოს სამტრედიის რკინის გზის დეპოში დეზინფექციის გასაკეთებლათ აგრეთვე იმ ადგილებს სადაც ვაგონები გაჩერდნენ ან გაიარა რკინის გზის ლიანდაგზე დეზინფექცია გაუკეთონ.

სახელმწიფო სათათბირო.

29 თებერვლის სხდომა.

სხდომის განახლების შემდეგ ლაპარაკობენ თ-დი **მანსირიოვი** და **ალექსანდროვი**. მათი სიტყვები ჯერ-ჯერობით დაიჭირა თავმჯდომარემ.

გოლდმანის შემდეგ ლაპარაკობენ საჟენკო, ბომაში, სუხანოვი და მარკოვ მეორე.

კამათი შეწყვეტილია. პირადი საქმისათვის ლაპარაკობენ ბარონ მეიენდორფი და ალექსანდროვი.

ხაუსტოვი სოციალ-დემოკრატების სახელით აცხადებს, მახლობელ სხდომაზე გავაცნობეთ, პუტილოვის ქარხანაში მუშაობა რად შესწყდაო. სათათბირომ წინადადება უარჰყო. ამ საკითხის გადაწყვეტა სათათბიროს თავმჯდომარეს მიენდო.

სხდომა დაიხურა; შემდეგი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო დამატებით გადმოგვცემს სათათბიროს სხდომის ანგარიშს.

სავენკოს სიტყვა ცენზურამ დაიჭირა. **შომაში** აღნიშნავს, ომი რომ დაიწყო, ყველა ეროვნებანი შეერთდენ, მაგრამ მალე ისევ დაიწყო [illegible] დევნა. შჩერბატოვის დროს დევნა ცოტათი განელდა. გამოქცეულთა მოსაწყობად გაფართოვდა ებრაელთა ბინადრობის ადგილი მაგრამ ადგილობრივი ადმინისტრაცია თავისებურად სარგებლობდა ცირკულიარით. დადგა რეაქცია. სათათბირო დაითხოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო სხვის ხელში გადავიდა. მემარჯვენეებმა მოაწყეს ყრილობები მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში. იმათაც დაიწყეს ებრაელების დევნა. საზოგადოდ რეაქციის დროს ისევ გაცხოველდა დევნა ებრაელებისათ.

თ-დი მანსირიოვი ამბობს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხვოსტოვმა არ გაამართლა თავისი დაპირებანი. გერმანელების მიწადმფლობელობის მოსასპობად გამოცემულმა წესებმა არსებითი ცვლილება ვერ შეიტანეს. საჭიროა უფრო ფართოდ დაყენება საკითხისა.

ალექსანდროვი სალამს, უძღვნის საფრანგეთის ჯარს, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ვერდენთან და სპედავს არა მარტო საფრანგეთის, არამედ რუსეთის თავისუფლებასაც. (ტაში). ორატორი თავისი სიტყვის დასასრულს თხოულობს პოლიტიკურ ამნისტიას.

რუსანოვი. აღნიშნავს, მტრის ვერავითარი ტეხნიკური საშვალებანი იმდენს ზიანს ვერ მოგვაყენებდა, რაც რუსეთში რომ არ იყვნენ ვილჰელმის დამხმარებელნიო. ორატორი ისტორიულად განიხილავს, რანაირი გავლენა ჰქონდათ გერმანელებს რუსეთზე. ამაში დამნაშავენი არიან მართველი წრეები, რომლებიც ძველი რეჟიმის დასაცავად, რუსეთისათვის მავნებელ სავაჭრო ხელშეკრულებას სდებდნენ გერმანიისთანაო.

სავენკო ეკამათება მარკოვ მეორეს, ორატორი აღნიშნავს, არაფერი ვიცი იმ მოხსენებისა, რომელიც ვითომ მაკლაკოვსა, შჩეგლოვიტოვსა და ბარონ ტაუბეს შეუდგენიათ, მაგრამ შემიძლია აქ მოვიყვანო ადგილი იმ მოხსენებიდან, რომელსაც 150 კაცი აწერს ხელსა და სადაც განხილულია საკითხი, გონიერია თუ არა ომის გაგრძელებაო.

სავენკოს სიტყვის ეს ნაწილი დიდს ხმაურობას იწვევს მარჯვნით. ისმის ხმები: „გვარები დაასახელეთ", „ვინ მოაწერა ხელი?" „ეს ცილისწამებაა".

სიტყვის დასასრულ სავენკო აღნიშნავს მე და ჩემი ამხანაგები პროგრესიულ ბლოკს იმიტომ მივეკედლეთ, რომ მის ერთადერთ მიზანს შეადგენს ბრძოლა ავსტრია-გერმანიასთანაო.

მარკოვი მე-2 ეკამათება სავენკოს და ამბობს, სავენკოს სიტყვები მტკნარი სიცრუეაო. მან ჯერ მაკლაკოვსა, შჩეგლოვიტოვსა და ტაუბეზე თქვა, მოხსენება წარადგინესო. შჩეგლოვიტოვმა განაცხადა, არაფერი ამის მსგავსი მე არ დამიწერია და ხელიც არ მომიწერიაო. სავენკო ცილს მემარჯვენეებზე ამბობს, იმათ შეადგინეს ასეთი მოხსენებაო. სანამ გვარებს არ დაასახელებთ, ჩვენ სავენკოს განცხადება სიცრუეთ და ცილისწამებად მიგვაჩნიაო. (ტაში მარჯვნით. თავმჯდომარე ზარსა რეკავს) სხდომა 6 საათსა და 10 წუთზე თავდება.

სახელმწიფო საბჭო.

2 მარტის სხდომა.

სახელმწიფო კონტროლმა შეუძლებლად სცნო უძრავ ქონებათა გადასახადების შემცირება ომის მიმდინარეობაში. გრაფმა ბობრინსკიმ აღნიშნა, რომ ხალხი ნივთიერად მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია და მას ეპირება გადასახადებიდან განთავისუფლება და არა ახალი გადასახადებით დამძიმებაო.

სახელმწიფო კონტროლმა, მიუხედავათ ზოგიერთი წევრის განცხადებისა შეუძლოთ სცნო გადასახადები ისეთი რეორგანიზაცია მოახდინონ, როგორსაც გრ. ბობრინსკი, ვასილიევი და სხვანი მოითხოვდენ.

უმაღლესი ბრძანება.

(ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ)

უმაღლესი ბრძანების თანახმად, მიმდინარე 1916 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვევენ სამობილიზაციო წესით იმ ახალგაზრდებს, რომელნიც დაბადებული არიან 1897 წელს. გაწვევის დღე ცალკე გამოცხადდება. დანიშნულ დღეს ყველა გაწვეული უნდა გამოცხადდეს სამაზრო სამხედრო უფროსთან იმ ადგილას, სადაც ამ დროს ცხოვრობს. ჯარში გაწვეულს თან უნდა ჰქონდეს პასპორტი, ან თვის ვინაობის დამამტკიცებელი რაიმე მოწმობა. აგრეთვე უნდა ჰქონდეს ყველა საჭირო ნივთი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი, რადგანაც მათ სახლში აღარ გაუშვებენ და პირდაპირ ჩარიცხავენ ჯარში იმ წამსვე, როდესაც შემოწმებულ იქნება მათი ჯანმრთელობა. 1915 წელს გამოცემულ სამხედრო დებულების მე-144 მუხლში აღნიშნულმა პირებმა და აგრეთვე მდაბიო მოქალაქეებმა და გლეხებმა, რომელთა საცხოვრებელი ადგილი და ოჯახების შემადგენლობა მათის წოდების საზოგადოებამ არ იცის, წინადვე უნდა დაამზადონ საბუთები თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ და გაწვევის დღეს სამხედრო საკრებულოებს უნდა წარუდგინონ. ოჯახური მდგომარეობა ჯარში გასაწვევთ პირველ ხარისხის შეღავათს ანიჭებს. ასევე უნდა მოიქცნენ ის პირნიც, რომელნიც გამოიქცნენ მტრისგან დაჭერილ ადგილებიდან.

ის პირნი, რომელნიც სწავლობენ და 1 მარტამდე წარდგენილი აქვთ შესაფერი მოწმობები სამხედრო საკრებულოებში, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან. ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით დროებით არავინ არ განთავისუფლდება, მიეცემათ მხოლოდ პირველი ხარისხის შეღავათი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახლად გაწვეულნი მეორე ხარისხოვან მოლაშქრის უფლებებით ჩაირიცხებიან ჯარში და მათს ოჯახებს სახაზინო დახმარება მიეცემათ.

ის პირნი, რომელნიც ამ [illegible] ლისის გუბერნიაში სცხოვრობენ, [illegible] შორის დასავლეთ [illegible] ხიზნულნიც იმის [illegible] ომიანობის დროს ჯარში გაწვეულნი [illegible] ცნენ თუ არა რომელსამე ადგილას,—[illegible] ვალენი არიან გამოცხადდენ სამხედრო [illegible] მსახურში 1) 1914, 1915 და 1916 [illegible] გაწვეულნი, ანუ 1898, 1894 და [illegible] დაბადებულნი, მათ შორის ისინიც, [illegible] ოჯახური მდგომარეობით პირველ ხა[illegible] სხის შეღავათი აქვთ მიღებული უნდა [illegible] მოცხადდენ უახლოეს სამხედრო საკრე[illegible] ლოებში და 2) 1917 წელს გასაწვევ[illegible] ანუ 1896 წელს დაბადებული, სათა[illegible] რიგო ჯარისკაცნი და მოლაშქრენი უნ[illegible] გამოცხადდენ უახლოეს სამხედრო უფრო[illegible] სის სამართველოში. გამონაკლისს შე[illegible] გენენ მხოლოდ ის პირნი, რომელ[illegible] ანთავისუფლებს თანამდებობა და სწა[illegible] ან სხვა რამ საბუთით განთავისუფლებუ[illegible] ლნი არიან და ეს უფლება დღემდე [illegible] დაუკარგავთ.

ის პირნი, რომელნიც სუსტის ჯან[illegible] მრთელობის მიზეზით, განთავისუფლებუ[illegible] ლნი არიან სამსახურისაგან, ან რაიმე შე[illegible] ღავათი აქვთ, ჯარის კაცთა გაწვევის [illegible] ერთო წესიდან სრულიად გამოუყოფე[illegible] არ იქნებიან იმ დრომდე, ვიდრე მათი განთავისუფლების დღიდან ორი წლი[illegible] დი არ გავა.

სტუდენტების გაწვევა.

1895 წელს დაბადებულ სტუდენტებს გაიწვევენ ჯარში შემდეგის რიგით; 1[illegible] მარტს გაწვეულ იქნებიან პეტროგრადის უნივერსიტეტის, ტეხნოლოგიური ინსტიტუტის, სამთო ინსტიტ., საინჟინრო ინსტ., და სასულიერო აკადემიის, მოსკოვის უნივერსიტეტის და ლიცეის სტუდენტები. 2) 25 მარტს გაიწვევენ ოდესის და ხარკოვის უნივერსიტეტების, კიევის პოლიტეხნიკუმის, ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტის და კიევის სასულ. აკადემიის სტუდენტებს. 3) 1 აპრილს გაიწვევენ ვარშავის უნივერსიტეტის, ხარკოვის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის, ახალი-ალექსანდრიის, დონის (ნოვოჩერკასკის) და ვორონეჟის ინსტიტუტების სტუდენტებს. 4) 22 აპრილს გაიწვევენ ტომსკის უნივერსიტეტის და ტეხნოლოგიური ინსტიტუტის, ყაზანის უნივერსიტეტის, ყაზანის სასულიერო აკადემიის, ვარშავის პოლიტეხნიკუმის და მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს. 5) 14 მაისს—მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის, მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებლის და ლაზარევის ინსტიტუტის სტუდენტებს და 6) 15 მაისს—რიგის პოლიტეხნიკუმის, კიევის კომერციული ინსტიტუტის, მოსკოვის სასულიერო აკადემიის, მოსკოვის საგზაო ინჟინრების ინსტიტუტის, იურიევის უნივერსიტეტის, კიევის უნივერსიტეტის და პეტროგრადის ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს.

მოგებიანი ბილეთები.

პეტროგრადი (დეპ.).

მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

200.000 მან., სერია 7691, № 38.
75.000 „ „ 3563, № 6.
40.000 „ „ 9537, № 45.
25.000 „ „ 8322, № 14.
10.000 „ „ 2235, № 4.
13834/45, 18378/8.

8.000 მან., სერია 11394, № 4,
1333/24, 10877/25, 1765/16, 12209/49.

5.000 მან. 6628/8, 8206/20, 8103/46.
2547/45, 3186/15, 7734/41, 261/37,
2673/24.

1.000 მან. 17011/35, 16253/27,
15579/23, 10900/43, 11088/45,
11129/14, 5872/17, 4937/29, 10888/8,
13802/8, 12168/2, 6784/23, 2378/50,
6736/22, 4996/33, 9337/39, 6545/1,
18465/25, 1665/11, 18551/13.

პედაგოგიური ჟურნალი.

...თვის დამლევიდან ქუთაისში გამოვა ...ლ-კვირეული პედაგოგიური ჟურნალი ...ლი და ოჯახი", რომელიც იქნება ...ეგრესიული მიმართულებისა,—პერ... თანამშრომლებად მოპატიჟებული ...ნ ყოველი ჯგუფის საუკეთესო ძა..., როგორც ქუთაისიდან, ისე თფილისიდან, ბათომიდან, ფოთიდან და სხვა ...ქებიდანაც; ყველას დაეგზავნა სარე...ო კოლეგიის მიერ მოსაწვევი ბარათები.

როგორც ამ ბარათებში ვსთხოვთ, ვინც ...ეებს სახალხო მასწავლებელთა ჟურ... სამსახური გაუწიოს, დაგვავალოს 15—20 მარტამდი გვაცნობოს თავისი ...სურვილი და ნება დაგვრთონ რომ ...ნი ჟურნალის პირველ ნუმრებში გა...ცხადოთ მათი სახელი და გვარი, ...თვე მოგვაწოდოს შესაფერი დასაბეჭდი მასალები.

...მასთანავე მივმართავთ სახალხო მასწავლებლებს და ქუთაისის გუბერნიის მა...ლებელთა დამხმარე საზოგადოების ...ლურ განყოფილებებს და ვსთხოვთ ...ობონ ხელის მომწერნი: ამისათვის ...რო იქნება განყოფილებებმა ყოველ ...ში დანიშნონ აგენტი, რომელიც ...ებს თავის თავზე ამ წელში ჟურნა...ს გამოსაწერი ფულის შეკრებას 2—4 ...მდი და ერთად გამოგზავნის ან ...ბის მოლარის იასონ ნიკოლაიშვი...ს სახელზე ქუთაისის ქართულ გიმნა...ში, ან ქალაქის მესამე სკოლაში თავი...ს რედაქტორ-გამომცემლის ვლ. ნა...შვილის სახელზე, რომელსაც აგრე...ვე უნდა გამოეგზავნოს ჟურნალში მოსათავსებელი ყოველგვარი მასალაც. ...ნტს გაეგზავნება ერთად ჟურნალები ...ის მოწერთა დასარიგებლად თავის ...ონში.

...მედი უნდა ვიქონიოთ, რომ მასწავლებლები აღფრთოვანებით მიეგებებიან ჟურნალის გამოცემის საქმეს და საშუალებას მოგვცემენ დროზე გამოვსცეთ იგი.

სახალხო მასწავლებელი **ლადო ბზვანელი.**

გაკვრით.

არსად დაცინებული რუსული ლაპარაკი ...ე არ გაისმის, როგორც რკინის გზის ქართველ მოხელეებში. რკინის გზის ქართველი მოხელეები სამსახურს გარეშეც ...ლ რუსულად მუსაიფობენ. თითო რუსული გაზეთი თითქმის ყველას მოსდის ...ა ქართული გაზეთის საჭიროებას არ ...გრძნობენ; საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნაკლებათ იღებენ მონაწილეობას და არც ქველმოქმედებას მისდევენ. რკინის გზის დაბალი ქართველი მოხელეები და ბუფეტებში მოსამსახურენი ...ეთი შერეული ენით ლაპარაკობენ, რომ არც რუსულია და არც ქართული. ყველა ამის მიზეზი-კი დაუდევნელობაა. მართალია, რკინის გზის ქართველი მოხელენი დაქსაქსულნი არიან და ხშირად ქართველ საზოგადოებასაც მოკლებულნი, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს მათ დედა-ენისადმი დაუდევნელობას. ცოტანი არ არიან საზღვარ-გარეთ და შორეულ ციმბირში ჩვენი ძმები და შვილები, მაგრამ თავის ეროვნებას და ენას მაინც არ ივიწყებენ და რკინის გზის ქართველ მოხელეებს რა ემართებათ, რომ დედაენას განზე გაურბიან? მათ იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობაც ვერ გამოუჩენიათ, რომ სარკინისგზო ეკლესიაში, როგორც, მაგალითად, შორაპანია, ზესტაფონი, ქიათურა და ხაშური, წირვა—ლოცვა სამშობლო ენაზე სრულდებოდეს და მათ ბავშვებს მათი ქართველი მოძღვარი სლავიანური კურთხევანით არ ნათლავდეს. ყოველივე ეს მეტათ საწუხარო და სავალალო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და სირცხვილია, რომ ამ მოვლენას შეგნებულმა ქართველმა ანგარიში არ გაუწიოს.

მ. ფარცხნალელი.

პროვინციის ცხოვრება.

ჩხარის რაიონი. თანამედროვე საერთაშორისო მსოფლიო ომმა აღარ გვაკმარა ის, რა უბედურებაც დაგვატეხა თავს და, ჩვენდა სავალალოდ, მას კიდევ ზედ დაერთო თანამედროვე შანტაჟი, რომელიც ყველა ჩვენგანს სოფლად, თუ ქალაქად, სულს უმწარებს და საშინელს დღეს აყენებს. საცოდავი მცხოვრებლები ორ ცეცხლ შუა იწვის: გარედ ეს საზარელი ომი იწირავს მისს საუკეთესო შვილებს და შიგნით კიდევ შანტაჟი სულ აღარ აძლევს მოსვენებას. დღეს ძალიან იშვიათად მოიძებნება ისეთი დაბა-სოფელი, ან ქალაქი, რომ შიგ თავისუფლად არ დათარეშობდენ ყოვლად ზნე დაცემული გაიძვერა, გარყვნილი ბიჭ-ბუჭები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და, თუ რაიმე გაჩნიათ, ყველაფერს სტაცებენ.

იმდენად გათამამებულან ეს სულიერად გახრწნილი ქურდ-ბაცაცები, რომ დღე და ღამე თავისუფლად ესხმიან თავს მცხოვრებლებს და ყველაფერსართმევენ; ზოგს კიდევ თვით სიცოცხლესაც კი უსპობენ. თუ ვინიცობაა გაბედა ვინმემ ურჩობა და მათი საზიზღარი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა, ასეთი პირების ყოველივე ავლა-დიდება ცეცხლის ალს აძლევენ და ბოლოს მასაც უეცრად აალმებენ წუთისოფელს.

პროვინციის ადმინისტრაცია ვალდებულია ჯეროვანი და შესაფერი ყურადღება მიაქციოს შანტაჟისტების ასეთ თავაშვებულ თარეშს და იხსნას საცოდავი მცხოვრებლები მათი ბრჭყალებისაგან. მარტო ის არ კმარა, რომ ხალხს ყოველგვარი მოთხოვნილება შეასრულებიონ, საჭიროა მათი ქონებაცა და სიცოცხლეც დაიფარონ.

თვით ხალხიც ვალდებულია დაეხმაროს მთავრობას ყველგან და ამ ვაჟბატონების თარეშს სოფლად თუ ქალაქათ ბოლო მოეღოს.

ი. ძერულისშარელი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. 2 მარტი მდინარე მაასის დასავლეთით ღამის განმავლობაში მოპირდაპირეს არავითარი შემოტევა არ დაუწყია. ფრანგებმა უკანვე დაიბრუნეს წინა დღით დაკარგული ფრონტები ბეტონკური ლიუმერამდე და მაღლობი 255.

პარიზი. პარლამენტში განიხილეს საბიუჯეტო კომისიის მოხსენება. საფრანგეთის თვიური ხარჯი უდრის 2600 მილიონ ფრანკს ე. ი. დღიურად 87 მილიონ ფრანკს.

ლონდონი. 2 მარტი. პრემიერი ასკვიტი მძიმე ავად არის და პალატის სხდომებზე ველარ ესწრება.

ურგა. 29 თებერვალი. მონღოლეთის მთავრობა თანახმა არის რუსეთის ვაჭრებს აუნაზღაუროს 1912 წ. არეულობის დროს მიყენებული ზარალი.

ბუქარესტი. ცნობილი მარგილომანი და მისი მომხრენი ამ ჟამად დიდ აგიტაციას ეწევიან, რომ რუმინეთი ცენტრალ იმპერიების მხარეზე გამოვიდეს. წინააღმდეგია ფედერალისტთა პარტია.

პეტროგრადი. გამოქვეყნებულია ბრძანება ქარხნების უცხოეთელ ლითონეულობის შემოკლების შესახებ.

პარიზი. მოკავშირე სახელმწიფოთა მეორე სამხედრო კონფერენცია დაიწყო.

კოპენჰაგენი. „ვენისცეიტი"-ს სიტყვით, ავსტრიაში მოსპრიან რკინის ფულს ოც გოლარებს.

ბერლინიდან ცნობაა, რომ ბუდაპეშტსა, და ვენაში სანოვაგის დიდი კრიზისია. ავსტრიის მთავრობამ ბრძანება გასცა ადრიატიკის ზღვით საჩქაროდ შემოიტანონ ხორბალი.

პეტროგრადი. ცარსკოე სელოდან მეფე მომქმედ ჯარში გაემგზავრა.

კოპენჰაგენი. ავსტრო-უნგრეთში ჯარში იწვევენ 1898—9 წ. დაბადებულთ.

ტამბოვი. ერობა დიდი სიხარულით მიეგება იუნიევის უნივერსიტეტის ტამბოვში გადმოიტანოს და ოცი ათასი მანეთიც მიიღოს.

ნიჟნი ნოვგოროდი.

გუბერნიის მცხოვრებლებმა ომის საჭიროებისთვის ხაზინაში შეიტანეს 5372 ოქრო.

პეტროგრადი. უმაღლესი სამხედრო კომისია შეუდგა ყოფილ სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის საქმეთა გარჩევას, რომლის არა სასურველმა მოქმედებამ იმპერიის სამხედრო საქმეებს დიდათ ავნო.

ლონდონი. 2 მარტი. გერმანელებმა ლაბასეთან და ლივე შაპელიდანიან მაღლობი ააფეთქეს. იპრის სამხრეთით ინგლისელებმა გერმანელთ ყუმბარები დაუშინეს.

რომი. იტალიის წარმომადგენელი საფრანგეთს გაემგზავრა მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. მდინარე ენის სამხრეთით გერმანელები შეეცადნენ, ჩვენს თხრილებში შემოჭრას (ტყე დებიუესში), მაგრამ უკუქცეულ იქნენ. არგონებში ფრანგთა არტილერიას გერმანელებმა ყუმბარები დაუშინეს, სადაც აფეთქებულ იქნა ტყვია წამლის საწყობი.

ლოტარინგიაში ფრანგები გერმანელებს ყუმბარებს უშენდენ.

ვერდენთან დიდი სისხლის მღვრელი ბრძოლა მოხდა, აქ ფრანგებმა ჩამოაგდეს გერმანელთა სამი ჰაეროპლანი.

ბელგიის ასპარეზი.

არტილერიის ბრძოლამ აქ უმწვერვალესობამდე მიაღწია განსაკუთრებით კი, დიქსმიუდესთან და სტეენსტრატთან.

სტოკჰოლმი. 2 მარტი. მთავრობამ კანონ-პროექტი შეიმუშავა სხვა და სხვა საქონლის გატან-შემოტანის შესახებ.

კოპენჰაგენი. ვენის „კორესპონდენტს ბიურო" იუწყება: გერმანეთისა და პორტუგალიის შორის თანდათან მწვავდება დამოკიდებულობა. ლისაბონში ავსტრო-უნგრეთის ელჩს ბრძანება მიუვიდა საჩქაროდ დასტოვოს პორტუგალია.

აგრეთვე ვენელ პორტუგალიის ელჩს პასპორტები ჩააბარეს. გერმანია-პორტუგალიის შორის დღე და დღე მოელიან ომის გამოცხადებას.

ვაშინგტონი. ვაშინგტონის რესპუბლიკა თანდათან მილიტარიზმისკენ იხრება პრეზიდენტს უკისრია ხმელეთის ჯარი ამ ახლო მომავალში 1,00,800 დე აიყვანოს.

ქუთაისის „ქართული დრამის" სეზონი.

1915—1916

1 ოქტომბრიდან 22 თებერვლამდე.

(დასასრული იხილე „სამშობლო" № 300.)

ძველთაგან:

აკაკის—„პატარა კახი"	1-ჯერ
ანდრეევის—„გაუდეამუს", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"	თითოჯერ
ბიერნსონის—„გაკოტრება"	1-ჯერ
ბ—ლის—„მურად-ფაშა"	1-ჯერ
გედევანიშვილის—„სინათლე"	3-ჯერ
გუნიასი—„ხოლეროობა", „და-ძმა", „ცოხის საიდუმლო", „რაც არ მერგება, არ შემერგება", „დღის ერთი"	თითოჯერ
დადიანის—„ბატონი და ყმა", „კაცია-ადამიანი?", „შენი ჭირიმე"	თითოჯერ
დენიერის— პარიზის ღარიბ-ღატაკნი	1-ჯერ
ერისთვის—„სამშობლო"	2-ჯერ
ირეთელის—„ქრისტინე"	1 ჯერ
მეტერლინკის—„და-ბეატრისა"	1-ჯერ
მესხის- -„სამშობლოს სადიდებლად", „რუსთველი"	თითოჯერ
მეიერ—ფორსტერის—„მემკვიდრე პრინცი"	1-ჯერ
მონტის—„კაიუს გრაქხუს"	1 ჯერ
სარდუს—„მადამ სან-ჟენ"	2-ჯერ
სობოლშჩიკოვ-სამარინის—„ვიდრე ხვალ, უფალო?", იუდას მემკვიდრე"	თითოჯერ
სუმბათაშვილის—„ღალატი"	3-ჯერ
სუვორინის—„მედეა"	1 ჯერ
უმიკაშვილის—„სამზადისი"	1-ჯერ
ყაზბეგის—„ქეთევან წამებული"	1 ჯერ
ყიფიანის—„ლევან, სამეგრელოს მთავარი"	1-ჯერ
შალიკაშვილის—„უნიადაგონი", „გადაპრილი მუხა"	თითოჯერ
შენტანის—„ჯამბაზები"	1 ჯერ
შექსპირის—„მეფე ლირი"	1-ჯერ
შილლერის—„ყაჩაღები", „სიყვარული და ვერაგობა"	თითოჯერ
ცაგარლის—„ციმბირელი", „რაც გინახავს, ველარ ნახავ".	თითოჯერ
ჰაუპტმანის—„დაძირული ზარი".	1-ჯერ

ზემო ჩამოთვლილ პიესებში—ძველსა და ახალში—ორიგინალური იყო 17, ნათარგმნი 19, გადმოკეთებული 16. მათ შორის ისტორიული 16, სოციალური—9, სახასიათო (ჟანრისა)—18, კლასიკური 3, ფსიხოლოგიური განცდისა 6.

ბათუმში. წარმოდგენილი იყო „ღალატი", „სამშობლო", „ჰამლეტი", „უცვირგვინო მეფენი", „ვიდრე ხვალ, უფალო?"

ფოთში. „მადამ სან-ჟენ", „სამშობლო", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", „ღალატი".

შემოსავალ-გასავალი. სულ სეზონის განმავლობაში

შემოვიდა:

ქუთაისში—12348 მ. 73 კ.
ბათუმში—1965 მ. 05 კ.
ფოთში—1201 მ. 65 კ.
ქუთ. დრ. საზ. გამგეობის მიერ გაწეული დახმარება 600 მ.
კერძო სესხი 110 მ.
16402 მ. 48 კ.

სეზონის განმავლობაში შეძენილ ტანისამოსებისა და მორთულობის გაყიდვისგან 177 მ.

დაიხარჯა:

თეატრის ქირა, სტამბა, აფიშების გასაკრავი, გაზეთების განცხადებანი, ხელსაწყო, პარიკმახერი, სამკითხველოს შესანახი, ტანისამოსის ქირა, მსახიობთა გამოსვლის ქირა, როლებისა და პიესების გადაწერა, საკანცელარიო, გასტროლიორები, სესხის დაბრუნება ყველა ამაზე **ქუთაისში** 5089 მ. 28 კ.
ბენეფიციანტებსა და იუბილიარზე 1042 მ. 90 კ.
ბათუმში—1290 მ. 18 კ.
ფოთში—1048 მ.
16462 მ. 43 კ.

სულ 8470 მ. 36 კ.
ამხ.—ს დარჩა მერკებზე გასაყოფად—7932 მ. 07 კ.

ამგვარად ერთი მეორეზე თვეში საამხანაგო მარკას მოუვიდა 8 მ. და 54 კ.

დასის წარმომადგენელი **შალვა დადიანი.**

1916 წ. თებერვლის 28.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენს გაზეთში მოვათავსო შემდეგი:

ჩემმა არა კეთილის მსურველმა ვიღაც „ტყ·ში სმდამ" „ეშმაკი მათრახი" მეხუთე ნუმერში მოათავსა წერილი, ვითომც მე [illegible] წიგნებს მრისხანეთ ვსჯემდე მათ (სწორედ [illegible]თაც) და ვლანძღავდე სიტყვით.

რადგან ეს სინამდვილეს მოკლე[illegible] მოწვეულია იმით, რომ მე, [illegible]ბელი, გამაშავოს მკითხველი საზოგადოების წინაშე, ვიწვევ მას, ბ. „ტყაში მადამ" სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით მსაჯულებათ ვასახელებ დ. ახალ-სენაკის სკოლის მასწავლებელს ბარნაბა ბ. ლაბარტყავას და ადგილობრივ მცხოვრებს ისიდორე შონიას. ველი პასუხს 10 დღის განმავლობაში, ამ წერილის დაბეჭვდიდან.

მტყუანი მხარე იხდის სენაკის განყოფილების ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ ათ მანეთს.

ს ბიის სასწავლებლის გამგე პლატონ ნადარაია.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო".**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— საღამ.	—6 ს.	57 წ.
ბათომიდან	— დღისით	—1 ს.	25 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	—დილის	— 11 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დღისით	—5 ს.	30 —
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—დღისით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	—დღით.	— 5 ს.	— —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26.

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

მმ. **ყურულაპეევის** მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ. სახლი).

მიღებულია საუკეთესო საშუალება **„ოსტიოკოლი"**

ღვინის გასაწმენდათ ლექისგან. თ.

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიერია.

ავათმყოფნი გონორეით სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოზოლი პროფ. მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, პაპებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ხდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, წვას და სრულებით ახუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ვსვლა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სასიამოვნო სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომლებიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ურდგულესი ივ. ნ. კოლეგოვი.

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

მმ. წრაფელმბეჭდავი სტამბა ალ. კობ...ძისა — ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.